ანდა, როგორ უნდა დაგეთანხმონ? ჩემს წერილში მოყვანილი იყო არასრული სია იმისა, თუ რა გაკეთდა საქართველოში და საქართველოსათვის ო. თაქთაქიშვილის მინისტრობის პერიოდში (1965-1984ძ. ვალდებული ვარ კვლავ შეგახსენოთ ფაქტები, მით უფრო, რომ მინისტრის მთელი მოღვაწეობის დადებითი შეფასებისთვის თქვენ მხოლოდ ერთი მოკლე ფრაზა გაიმეტეთ: „არა ერთ კეთილ საქმეს აკეთებდაო“.

მაშ ასე: ჩატარდა ვეებერთელა თავისი მასშტაბებით „ქართული კულტურის დღეები“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1969ძ, იმავე წელს ქუთაისში გაიხსნა საოპერო თეატრი, რომელიც დღესაც მოქმედებს, რუსთავში — დრამატული თეატრი (1967ძ, სიმფონიური ორკესტრები დაარსდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, მრავალი საგუნდო კოლექტივი (მათ შორის, ცნობილი „რუსთავი“ძ და საოპერო სტუდია გორში, ხდებოდა ქართული ხალხური და პროფესიული შემოქმედების სისტემატური პროპაგანდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ფართო საერთაშორისო კულტურული კავშირების დამყარება ურთიერთგაცვლით საწყისებზე (საარბრუკენიძ, კონსერვატორიას მიუერთდა მეზობელი დიდი შენობა.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის უგულვებელყოფა? ვის და როდის გაუკეთებია ქართული კულტურისათვის ამის მეოთხედიც კი (ადრე მეწერა — ნახევარი-მეთქიძ? ვფიქრობ, გრანდიოზული პანორამაა, რომელიც ნებისმიერ ობიექტურ ადამიანს გააკვირვებს და გააოცებს.

და რას უპირისპირებს ყოველივე ამას წიგნის ავტორი, როდესაც ო.თაქთაქიშვილის უაღრესად ანტიპათიურ და ანტიეროვნულ ფიგურას გვიხატავს? რა კონკრეტულ ბრალდებებს უყენებს მას ზემომოყვანილი სალანძღავი სიტყვების გარდა? — მხოლოდ და მხოლოდ, მინისტრის უზომოდ გაზვიადებულ „დაპირისპირებას“ რუსთაველის თეატრის მთელ შემოქმედებით გუნდთან, რის შედეგადაც, ალბათ, უნდა აკრძალულიყო სპექტაკლები, დახურულიყო თეატრი და, ვინ იცის, კიდევ რა. მადლობა ღმერთს, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. პირიქით, სწორედ თაქთაქიშვილის მინისტრობის ხანა გამოდგა არნახულად წარმატებული მთელი ქართული თეატრის ისტორიაში (ხომ ასეა?ძ და, რა, ყოველივე ეს და ბევრი სხვაც — მინისტრის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა? განა ვინმე დაიჯერებს ამას!

ჩემთვის გასაგებია ავტორის „ანტისაბჭოთა პათოსი“, რის გამოც არა თუ თაქთაქიშვილს, არამედ კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელსაც „მაგრად მოხვდათ“ მისი წიგნის ფურცლებზე. პირდაპირ სასაცილოა, არა? (იხ. თავი „დიადი თანამედროვეობა?“ დიადი თანამედროვეობა?ძ. თითქოს არ იცის ავტორმა, თუ რა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ეს დიდებული პიროვნებები, რა ჯოჯოხეთური განსაცდელები უნდა გადაელახათ იმისათვის, რომ კატასტროფით არ დამთავრებულიყო მათი ფიზიკური არსებობა? რა ადვილია „გასული რიცხვით“ კრიტიკა!

ნ.არველაძეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული ის, თუ რა მძიმე დროში მოუხდა მოღვაწეობა მისი წიგნის ანტიგმირსაც. ვინ გაბედავდა მაშინ დაპირისპირებას საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანასთან? და მხოლოდ თაქთაქიშვილის უდიდეს დიპლომატიურ ნიჭსა და გამჭრიახობას, ხელისუფლებასთან ძალზე რთულ ურთიერთობაში, უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ რუსთაველის თეატრის უნიჭიერესი რეჟისორების ნოვატორულ, უაღრესად თამამ და „არანორმატიულ“ პოლიტიკურ სპექტაკლებს გზა მიეცათ მაყურებლისაკენ, საზოგადოებისკენ, თვით უცხოეთისკენაც კი. არც ერთი არ იქნა „დაბლოკილი!“ კიდევ ერთხელ მიხდება ცნობილი ფაქტის გახსენება: მხოლოდ თაქთაქიშვილის ენერგიული ჩარევის წყალობით დართო ნება ხელის უფლებამ რუსთაველის თეატრს ლონდონში გასტროლების დროს წარმოედგინა „რიჩარდ III“(!ძ

დიახ, ყველაფერი ეს იყო უჭკვიანესი, ძალზე ფრთხილი და წინდახედული მინისტრის პირდაპირი დამსახურება და ამისათვის მას დიდი მადლობა ეკუთვნის და არა ლანძღვა.

ვერ გამიგია ისიც, რატომ და, რაც მთავარია, როგორ უნდა „ჩაეგდო“ ფარული კენჭისყრის დროს მინისტრს ე.მანჯგალაძის კანდიდატურა?

ნამდვილად აბსურდულია ახალი ბრალდებაც, რომ თაქთაქიშვილმა „შერისხა რამდენიმე კომპოზიტორი“ და ა.შ. საპირისპიროდ საკმარისია მოვიყვანო გამოჩენილი კომპოზიტორის სულხან ნასიძის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ოთარის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში (1994 წლის ივლისიძ: „არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ოთარ თაქთაქიშვილს ხელი შეეშალოს რომელიმე ნიჭიერი ადამიანისთვის“-ო(!ძ. ამომწურავადაა ნათქვამი და ამ სიტყვებს მით უფრო მეტი ფასი აქვს, რომ თვითონ ს.ნასიძე არ ეკუთვნოდა ო.თაქთაქიშვილის ახლოგელთა გუნდს.

დაბოლოს, ერთი ჩემს მიმართ ნასრული „ისრის“ შესახებ: თურმე, მე ჩემი წერილი „სხვათა წაქეზებით“ დამიწერია. სრული უაზრობაა!

ო. თაქთაქიშვილთან მე ხანგრძლივი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა, ვარ მრავალი წერილისა და წიგნის ავტორი მის შესახებ, მუდამ ვიდექი და ვიდგები მისი, როგორც კომპოზიტორისა და სახელმწიფო მოღვაწის ღირსებისა და ინტერესების სადარაჯოზე და რაში მჭირდება ვისიმე წაქეზება ჩემი პირდაპირი ადამიანური და პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად?!

აი, ამაზეა ნათქვამი — „თავდასხმა უვარგისი ხერხებითო“ („покушение с негодными средствами“ძ.

და, სულ ბოლოს, **მიმართვა ქალბატონ ნათელასადმი: მოვეშვათ უაზრო და უსამართლო ბრალდებებს ამა სოფლიდან წასული დამსახურებული ადამიანების მიმართ. თქვენც და მეც (მე, შეძლებისდაგვარად) ვემსახურებით ქართულ კულტურას და მხოლოდ ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე აგებული საქმიანობით (და არა დაპირისპირებით) შეიძლება „გადავარჩინოთ მომავალი“ (ვა, რა მაგრები ვყოფილვართ!), რისკენაც მოგვიწოდებთ თქვენს წიგნში.**

პაგივისცემით
გულგათ ტორაძე

◎ სტანდარტები და კონტროლი

საერთაშორისო ბაზრებზე გზის გასაკვლევად

***საერთაშორისო** სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატების გაცემას პროდუქციასა და კომპანიებზე ქვეყნის ექსპორტის გაზრდისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ 2009 წლის დამლევამდე ქართულ ბაზარზე სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO 17020 სტანდარტის მოსალოდნელ დანერგვასთან დაკავშირებით ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში გამართული სემინარის გახსნისას.*

— ევროპის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის სათანადო დონის მისაღწევად აუცილებელია ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი იყოს. კომპანიებისთვის თუ პროდუქციისთვის სათანადო სერტიფიკატის მისანიჭებლად და ამა თუ იმ სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებლად კი საჭიროა მოქნილი, სწრაფად მოქმედი მექანიზმები. უნდა აღვნიშნო, რომ კვალიფიკაციის დონის ამაღლებაში ჩვენ ევროგაერთიანება გვეხმარება და ამ მიმართულებით სათანადო პროექტები კვლავაც გაგრძელდება, — აღნიშნა მინისტრმა.

სემინარზე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებისა და მათთან სრულ შესაბამისობაში საქართველოს საინსპექციო ორგანოების აკრედიტაციის საკითხებს მიეძღვნა, კერძოდ, აღინიშნა, რომ კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა **— ესაა ის სამი ძირითადი პრინციპი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ შესაბამისობის შეფასების სფეროში აკრედიტაციის გასაცემად.** საინსპექციო ორგანოების აღიარებისთვის კი აუცილებელია მათი აკრედიტაცია. ხაზი გაუსვეს იმას, რომ ინსპექტირების ნაწილია ტესტირება, რომელიც ორი კატეგორიისაა — **ფუქციონალური და ანალიტიკური, მათგან პირველი ნაკეთობის ფუნქციას განსაზღვრავს, მეორე კი მისი პარამეტრების გაზომვას გულისხმობს, რომლებიც სტანდარტ 17020-ს უნდა შეესაბამებოდეს.**

ასევე აღინიშნა, რომ ინსპექტირების გამოყენება შეიძლება პროდუქციის შექმნის (მომსახურების პროცესებისძ დაპროექტებიდან დაწყებული ვიდრე მის გამოშვებამდე, აგრეთვე მისი საძონლის გამოყენების (მომსახურების მიღებისძ დროს. შესაძლოა აგრეთვე მომსახურე პერსონალის ტესტირებაც. **სერტიფიკატსა და ინსპექტირებას შორის ის განსხვავებაა, რომ ინსპექტირება პროფესიულ შეფასებაზეა დამყარებული და შესაძლოა პროექტის, პროდუქციის წარმოების პროცესებისა და პერსონალის შესაბამისობის შეფასებას მოიცავდეს, ხოლო სერტიფიცირება მხოლოდ სტანდარტების შესაბამისად ტარდება და პროფესიულ შეფასებებს არ გულისხმობს. ასევე უნდა ითქვას, რომ სერტიფიცირება პროდუქციას ბაზარზე განთავსების შესაძლებლობას აძლევს, ინსპექტირება კი იმას განსაზღვრავს, ინარჩუნებს თუ არა იგი მაღალ სამომხმარებლო თვისებებს ექსპლუატაციისას.** აქვე იმასაც დავსძენთ, რომ პროდუქციის (მომსახურების ხარისხის ინსპექტირებისას ზედამხედველობა საჭირო არ არის, ხოლო ექსპლუატაციას პროდუქციის სერტიფიცირების ორგანო აღარ ეხება.

აკრედიტაციის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა პაატა გოგოლიძემ თავის მხრივ აღნიშნა, რომ **მთავარი მიზანია, ინსპექტირების გზით შესაძლებელი გახდეს პროდუქციის (მომსახურების) შესაბამისობის შეფასება, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტის ISO-ს დამკვიდრება და საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.** მან ასევე განაცხადა, რომ წლის დამლევამდე ქართულ გაზარზე მოსალოდნელია ISO-ს სტანდარტის რეალურად ამოქმედება, მაგრამ მის აქტიურად დანერგვამდე სტანდარტების მოთხოვნათა უკეთ ასათვისებლად და ცოდნის გასაღრმავებლად, აკრედიტაციის ცენტრის პერსონალის მომზადება მუდმივმოქმედი სემინარის ფორმით განხორციელდება.

— ამ სტანდარტების დანერგვა, უწინარესად, შესაბამისი საკანონმდებლო გაზის დახვეწას მოითხოვს, ამიტომ ამ პროცესთან ერთად დავიწყებთ ეროვნული გაზრისთვის ISO-ს სტანდარტის შეთავაზებას და წლის დამლევამდე მის დამკვიდრებას. — განაცხადა ბატონმა პაატა გოგოლიძემ.

— **ISO-ს სტანდარტი შეიძლება გამოვიყენოთ მაგალითად, ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირებაში (ლიფტებში, წნევაზე მომუშავე ჭურჭლებში, ამწე დანადგარებში), სურსათის ჰიგიენის (სანიტარიის) სფეროს ინსპექტირებაში და სხვ.**

გარდა ამისა, არსებობს ქართული გაზრისთვის საინტერესო კიდევ სხვა მიმართულებები, კერძოდ, **სამედიცინო (კლინიკური) ლაბორატორიებისა და საინსპექციო ორგანოების აკრედიტაცია,** რაც სადღეისოდ საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს — მას სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. არადა, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ზოგიერთ სფეროში ინსპექტირებას კერძო აკრედიტებული ორგანოები ახორციელებენ. აკრედიტაცია ადასტურებს სათანადო იურიდიული პირის შესაბამისობის კომპეტენტურობას პროდუქციის, მომსახურების მიწოდებისა და სისტემების შეფასებისას, — დასძინა აკრედიტაციის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა.

ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში სემინარი პერმანენტულად გაიმართება და ისინი სხვადასხვა ტიპის სერტიფიცირების ორგანოს, ლაბორატორიებს შორის შედარებით გამოცდების ორგანიზების აკრედიტაციის საკითხებს მიეძღვნება.

ოთარ ტურაბელიძე.

◎ მავნე პრაქტიკა

სააკაშვილმა შაშკინიც გაამინისტრა!..

„მთავრობის დაკომპლექტების სააკაშვილისეული მავნე პრაქტიკა გრძელდება და რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო საზიანო ხდება ქვეყნისთვის, — განაცხადა „ლეიბორისტების“ გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შექმნის თაობაზე გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ახლადშექმნილი უწყების ხელმძღვანელად დანიშნული დიმიტრი შაშკინი აშშ-ის ყველაზე აგრესიული და რეაქციული წრეების წარმომადგენელია საქართველოში. შრომის პარტიის გენმდივანმა ისიც აღნიშნა, რომ შაშკინი მეთიუ ბრაიზას, დენიელ ფრიდისა და სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა 2003 წლის რევოლუციის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

„შაშკინი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ორგანიზაცია „აი ერ აი“-ის, რომელიც არჩევნების დროს და შემდეგაც აქტიურად ეხმარებოდა ნაცმოძრაობას ყალბი ეგზიტპოლების გამოქვეყნებაში. სააკაშვილმა „ბუნებრივია, არ დაუკარგა მას „ამაგი“ და როგორც ხედავთ მინისტრის ჩოხა მოარგო“, — განაცხადა შატბერაშვილმა, რომელმაც იქვე დასძინა, რომ ხელისუფლება მინისტრებად ხშირად ნიშნავს არჩევნების გამყალბებლებს (მაგალითად თემურ იაკობაშვილი მოიყვანა).

სოსო შატბერაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი ორგანიზაცია „ენ ბი აი“, რომელიც საქართველოში აშშ-ის დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს, რადიკალურად შეიცვლის პოლიტიკურ კურსს და საქართველოს მიმართ პატიოსან პოლიტიკას გაატარებს.

ჯაბა კუტალია

◎ ინფორმაცია

ბოიკოტი იმ მთავრობას, რომელიც აგვისტოს ომში საქართველოდან გაქცევას აპირებდა

დამოუკიდებელი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო უმცირესობას მოუწოდებს, ბოიკოტი გამოუცხადოს მთავრობის ახალ შემადგენლობას და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღოს.

— როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა მოახდინა სრული უპატივცემულობა პარლამენტის, საზოგადოების და პარლამენტში დასამტკიცებლად შემოიტანა მთავრობა, რომლის გამოც ქვეყანა დაშლის პირას მივიდა, მთავრობა, რომელმაც გააღატაკა ქვეყანა, მთავრობა, რომელიც აგვისტოს ომის დროს, როდესაც თბილისს ტანკები მოადგა, წითელ ხიდზე სამარცხვინო რიგში იდგა საკუთარი ქონების გადასარჩენად. საქართველო იქნება სიღარიბისა და ყველა პრობლემის გარეშე მაშინ, როდესაც საქართველო იქნება ამ პრეზიდენტისა და მთავრობის გარეშე, — აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

დეპუტატი მოუწოდებს უმცირესობას, დატოვონ „ნაციონალური მოძრაობა“ მარტო და არ მისცენ „დემოკრატობანას“ თამაშის საშუალება. — ამით მოხდება დადასტურება იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. საქართველოს პრეზიდენტი და უმრავლესობა პატივს არ სცემს საზოგადოებას, — აცხადებს ბაღათურია.

მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება პარასკევის პლენარულ სხდომაზე იგეგმება.

ავიწროებენ რეგიონულ ჟურნალისტებს

ჟურნალისტი ია ანთაძე მიიჩნევს, რომ რეგიონულ ჟურნალისტებზე ზეწოლას, მათი დამოუკიდებლობა განაპირობებს. ანთაძის განცხადებით, ხელისუფლების მიერ რეგიონული მედია უფრო გაუკონტროლებელია, ვიდრე ცენტრალური მედიასაშუალებები.

— ყველაზე უფრო თავისუფალი სეგმენტი მთელს ქართულ მედიაში არის რეგიონული გაზეთები. ამიტომაც, თუ დავაკვირდებით, ძირითადად პრობლემები გაზეთების კორესპონდენტებს აქვთ, — განაცხადა ია ანთაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის იანვარში საქართველოს რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების შანტაჟის ფაქტები გაიზარდა. 7 იანვარს გურჯაანის პოლიციის უფროსმა სოსო მარტაშვილმა კორესპონდენტებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაკავებითაც დაემუქრა. რამდენიმე დღის წინათ, გურიაში გამომავალი გაზეთის „გურია ნიუსის“ ჟურნალისტებს ნატო გოგელიას და გიორგი გირკელიძეს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძე, იმ მიზეზით, რომ გაზეთმა მის მიმართ კრიტიკული პუბლიკაცია გამოაქვეყნა, ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. 23 იანვარს, აჭარაში გაზეთ „ბათუმელების“ კორესპონდენტი ნათია როყვა, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

ინტერპრესნიუსი და XI-ეიბ-ენი

◎ თვალსაზრისი

აშშ-ში ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ აშშ-სა და დასავლეთის მიმართ კრემლის პოლიტიკაზე, აგრეთვე, რუსეთის მხრიდან თბილისის მიმართ დაუფარავი აგრესიის ფონზე თუ რა პოლიტიკას გაატარებს თეთრი სახლი საქართველოსთან დამოკიდებულებაში, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტს ალექსანდრე რონდელს ესაუბრა.

ალექსანდრე რონდელი: რუსეთი ამერიკასთან შედარებით მაინც ლილიპუტია...



— აშშ რუსეთს სთავაზობს, თავი შეიკავოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული ბაზების განლაგებისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ კრემლი აღრმავებს ამ რეგიონებთან თანამშრომლობას, მათ შორის სამხედრო სფეროში, რამდენად სავარაუდოა, რომ მოსკოვი ვაშინგტონის შეთავაზებას გაითვალისწინებს?

— არის სფეროები და პროგლემები, რომლებშიც ვაშინგტონი იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს რუსეთს და მასთან ითანამშრომლოს. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი დიდი მოთამაშეა და მის პოზიციას ზოგიერთ სფეროში მნიშვნელობა აქვს, ბუნებრივია, აშშ მათ ანგარიშს გაუწევს. რუსეთის გათვლა ძალიან მარტივია — ის ამერიკას რაღაცებს დაუთმობს, ითანამშრომლებს მასთან, ოღონდ მან სანაცვლოდ ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს მითვისებაში, სამხრეთ კავკასიაში დაბრუნებაში, ახლო სამეზობლოში გავლენის სფეროს შექმნაში. ასეთი ძცევით რუსეთი ცდილობს აშშ-ს თამაშის რუსული წესები იძულებით მიაღებინოს.

ობამას მიმართ ახალი თამაშია დაწყებული. რუსეთმა გაიმაგრა პოზიციები, კარგად შეარჩია დრო საქართველოსთან ომისათვის. მან ომი მაშინ დაიწყო, როცა ამერიკა უძლური იყო. ბუში მიდიოდა და აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებული არ იყო. ახლა მოსკოვი ვაშინგტონს ახალი პოზიციებიდან ელაპარაკება. მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთს ცოტა გაუფუჭა რეპუტაცია და მას მაღალი ტრიბუნის ნაცვლად, დაბალი ჯორკო შერჩა, რომელზეც ახლა არის ამხტარი. მაგრამ საძმე ისაა, რომ რუსეთი საქართველოში შემოსულია.

ლავროვი ახლა კი აკეთებს შემრიგებლურ განცხადებებს და უცებ გახდა მშვიდობიანი, თავის მხრივ, ჰუტინი და მედვედევი ცდილობენ დასავლეთს ახალი ურთიერთობების დაწყება შესთავაზონ. აშკარაა, რომ მათ აღარ სურთ ცივი ომის რიტორიკა, მაგრამ აშშ-სა და დასავლეთისაგან კავკასიის ჩაყლაპვას მაინც ითხოვს. როგორც ჩანს, ამერიკელები ამაზე არ მიდიან და ძალიან დიდი იმედია, რომ არც წავლენ.

რუსეთის განცხადებები, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზებს ქმნის, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ვაშინგტონი პოზიციას არ იცვლის და რუსეთის თამაშის წესების მიღებას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, რუსეთი მაინც განაგრძობს ამ მიმართულებით მოქმედებას. აქამდე მას ეს გასდიოდა და იმედი აქვს, ახლაც გაუვა.

— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კრემლმა იცის, მოსკოვი ვაშინგტონთან პრინციპულ საკითხებზე კომპრომისს ვერ მიაღწევს და „ცივი ომის“ ვითარებისათვის ემზადება. თქვენ იზიარებთ ასეთ მოსაზრებას?

— რუსეთი აშშ-სა და დასავლეთის თამაშის თავის პიროებებზე დათანხმებას ცდილობს. თუ მან ამის გაკეთება ვერ შეძლო, მერე

გარდა ამისა, რუსეთი იმის გამო „იჭინთება“, რომ აშშ და ჩინეთი აპირებენ ერთმანეთთან დაძმობილებას. ეს ბუნებრივი იქნება, ფაქტობრივად ასე ჩანს, რომ მათ უნდა გაიყონ მომავალი მსოფლიო. რუსეთს სურს, არ დარჩეს მეორეხარისხოვან ქვეყნად, რასაც ის რეალურად წარმოადგენს. მოსკოვში მიხვდნენ, რომ ვითარება შეცვლილია და ცდილობს ახალ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და ახლანდელზე უფრო კარგი პოზიცია ჰქონდეს. კრემლი ცდილობს, აშშ-ს ისეთ ვითარებაში ჩაყენებას, რომ ვაშინგტონმა მოსკოვს მეზობლებზე კონტროლი დაუთმოს.

— რამდენად დამთმობი შეიძლება იყოს ვაშინგტონი მოსკოვის მიმართ კრემლის მეზობლებთან დამოკიდებულებაში?

— თუ რუსეთმა აშშ-ს ისეთი რამ შესთავაზა, რაც, ძალიან ფასობს, რაღაცებს დაუთმობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ვაშინგტონის პოზიცია პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ არ შეცვლილა. ვაშინგტონის აზრით, სტატუს-კვო უნდა შენარჩუნდეს, ანუ ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა დარჩეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და არ უნდა შეიცვალოს საზღვრები. რუსეთმა ეს ძალის გამოყენებით საქართველოში შეცვალა და ამ კონცეფციის წინააღმდეგ გამოვიდა. თეთრი სახლი კრემლს მეზობლებზე კონტროლის დაწესების საკითხში არ დაუთმობს და რუსეთის მიერ მეზობლებზე გავლენის ზრდას ნამდვილად არ აცდის.

— ფაქტია, რომ რუსეთი დასავლეთსა და აშშ-ს ნატო-რუსეთის შემდგომი დიალოგისა და თანამშრომლობის საფასურად საქართველოში მის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევასთან შეგუებას სთხოვს...

— რუსეთი ახლა აცხადებს — „რა გვექნა, სხვა გამოსავალი არ გვქონდა, გაგვიგეთ და ახლა დავიწყოთ ახალი ცხოვრებაო“. იმას, რაც რუსეთმა საქართველოში აგვისტოში გააკეთა, უმოკლეს ვადებში ვერავინ შეცვლის. ეს რომ სწრაფად შეცვალო, ომი უნდა დაიწყო, მაგრამ დასავლეთი ეცდება, ეს რუსეთს ძალიან ძვირი დაუჯდეს და ამისათვის მას მაღალი ფასი გადახდევინოს.

ჩვენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას უახლოეს მომავალში ვერ მოვახერხებთ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამის იმედი უნდა გვქონდეს. ახლა ამ თემაზე მსჯელობა ძალიან ძნელია. თუ ქვეყნის შიგნით ვითარება სტაბილურია, პატარა ქვეყანა ყოველთვის დამოკიდებულია გარეშე პროცესებზე. თუ ასე არ არის, ქვეყნისათვის გარეშე ფაქტორები და შიდა პროცესები ერთნაირად საშიში ხდება. თუ ქვეყნის შიგნით ვითარება სტაბილურია, გარეშე ფაქტორები იმდენად საშიში არ არის.

— შეიძლება ჩამოვთვალოთ ის საკითხები, რომელთა გამო აშშ რუსეთის მიმართ უფრო დამთმობი შეიძლება აღმოჩნდეს?

— ვთქვათ, ირანზე რუსეთის აშკარა ზემოქმედება, რუსეთის მიერ პროდასავლური პოზიციის დაკავება, მაგრამ არც ერთია მოსალოდნელი და არც მეორე. რუსეთის გათვლა მაინც იმაზეა ორიენტირებული, რომ გაზულუქებულ ევროპას მაინც მოუვლის და ამერიკა იმდენად საშიში არ არის, ვინაიდან შორსაა. ეს მას ჯერჯერობით გამოსდიოდა, მაგრამ მომავალში როგორ განვითარდება პროცესები, ამას დრო გვიჩვენებს.

— ბევრი საუბრობს რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა კრემლი მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარს ამბობს, როგორ გესახებათ რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივა?

— ის, რომ რუსეთი მეზობელია, თანაც დიდი მეზობელი, ფაქტია და გეოგრაფიის დიქტატურას ვერსად გავექცევით. რუსეთში და ბევრს უცხოეთში აქვს ასეთი წარმოდგენა — საქართველო არის ფინია, რომელსაც რუსეთი როცა უნდა წამოარტყამს, როცა უნდა მოეფერება, ეტყვის — „რაც კარგები ხართ, ქართველები ხართ“ და ფინია ოთხივე ფეხს აწევს და ყველაფერს დაივიწყებს. ეტყობა ასეთი სურათი კრემლში ბევრს და სამწუხაროდ, ევროპაშიაც ეხატება. ამიტომ საქართველომ ეს წარმოდგენა უნდა გაფანტოს, მაგრამ რუსეთთან საურთიერთოდ რაღაც არხი რომ არ იყოს დატოვებული, შეუძლებელია.

რუსეთთან ურთიერთობაში პირველ რიგში ჭუმანიტარულ ურთიერთობას ვგულისხმობ. იმის შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს გაუკეთა, ღირსებისა და თავმოყვარეობის მძონე ერს არ უნდა ჰყავდეს საზოგადოებაში ხალხი, რომლებსაც რუსეთის გარეშე გაძლება არ შეუძლია. ეს ხალხი დღე და ღამე მისტირის რუსეთთან ურთიერთობის ძველ დროსა და იმას, როგორ ძეიფოზდნენ საბჭოთა კავშირის ხარჯზე. ვინც ამას წაიკითხავს, მიხვდება ვისზეა საუბარი და სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ხალხი ბევრია. იმედია, ახალ თაობას ეს ხალხი აღარ ეყოლება, ვინაიდან, საბედნიეროდ, ჩვენს ახალ თაობას ეს კომპლექსი აღარ აქვს.

კობა ბენდელიანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველები, რომლებიც ვერასოდეს დაბრუნდებიან შინ

ზაზა ჯუჯეაშვილი ცოლთან ერთად ფრთხილად მიაბიჯებდა მიწაზე, გარშემო კი ეყარა სახურავის კოჭები, დამსხვრეული მინა და თოვლით დაფარული აგურის ლოდები, რომლებიც მიმოფანტული იყო გაღში მისი დანგრეული სახლის გარშემო. მათგან ორიოდ კილომეტრზე ჰაერში აიჭრა ორი რუსული ვერტმფრენი და სამხრეთ ოსეთის საზღვრის გასწვრივ გაფრინდა, საზღვრისა, რომელიც ცოლქმარ ჯუჯეაშვილების სახლის ახლომახლო გადის. ერგნეთში ათიდან ცხრა სახლი უკაცრიელია. ზოგიერთი მათგანის კედლები შენგრეულია ჭურვებისგან. მაგრამ დიდი ნაწილი გამურულია ფანჯრების გარშემო. ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ შენოგიდან შენოგისკენ მიმავალი მოთარეშენი. ახლა ჯუჯეაშვილები საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობენ ხუთ შვილთან და ზაზას ხანდაზმულ მშობლებთან ერთად. ისინი შეყუჟული არიან აგვისტოს ხუთდღიანი ომის მსხვერპლთათვის გამოყოფილი საბავშვო ბაღის ერთ ოთახში. მაგრამ ყველა უგედურებისა და გაჭირვების მიუხედავად, ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ იღბლიანთა კატეგორიას, რომლებიც ძალიან ცოტანი არიან ადგილგადანაცვლებულ პირთა შორის. მათ შეუძლიათ შინ დაბრუნება. ერგნეთი მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ – საქართველოს რეგიონისა, რომელიც მას გამოეყო 90-იან წლებში და შარშან რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

რუსეთის ჯარები ერგნეთის გავლით სოლივით შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში და მოკლე ხნით ძალაძი გორიც კი აიღეს. მაგრამ ოქტომგერში ისინი უკუიქცნენ. მოსკოვის მიზანი იყო, დაესაჯა საქართველოს არმია, რომელმაც წამოიწყო აგვისტოს ომი, როცა სცადა თავის შემადგენლობაში დაებრუნებინა სამხრეთი ოსეთი. რუსებთან ერთად მოვიდნენ სამხრეთოსეთელ მოთარეშეთა განდები, აგრეთვე კაზაკები და ჩეჩენი მაროდიორები, რომლებიც ძარცვავდნენ და წვავდნენ ზედიზედ ყველაფერს. როცა დამყროვნი წავიდნენ, საზღვრისპირა რეგიონის ასიათასიანი მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტი შინ დაბრუნდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა საგენტო მრავალი დანგრეული სახლის ადგილას დგამს ოროთახიან სახლებს, რათა ადამიანებს შეეძლოთ დაბინავდნენ იქ და მოემზადონ თავიანთი საცხოვრებელი სახლების აღსადგენად, როგორც კი გაზაფხული დადგება. ერგნეთსა და ახლომახლო სოფლებში უკვე გაისმის ჩაქუჩების კაკუნი, აყრილი ოჯახები კი ჩამოდიან აქ, რათა შეამოწმონ თავიანთი დანგრეული და დაზიანებული საკუთრება.

ადამიანები კვლავ შიშით არიან შეპყრობილი. „რა გარანტია გვაქვს, რომ საშიში არ იქნება აქ ცხოვრება?“ – კითხულობს ჯუჯეაშვილი. მაგრამ იმ 17000 ქართველს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მისი დედაქალაქის ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, ამ კითხვის დასმის საშუალებაც კი არა აქვს. ისინიც

იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ, მაგრამ როგორც მოწმენი ამბობენ, მრავალი მათი სახლი გულდოზერებით გაასწორეს მიწასთან, რათა ხელი შეეშალათ ქართველთა დაბრუნებისთვის. ომის მსხვერპლნი ახლა ცხოვრობენ დიდ ახალ დასახლებებში. სახლები ჩამწკრივებულია გორსა და თბილისს შორის გამავალი ტალახიანი სოფლის გზების გასწვრივ. 68 წლის ანა ძენძაძე ერთ-ერთ მათგანში დეკემბერში შესახლდა. მანამდე იგი სამ თვეს ცხოვრობდა კიტრის სათბურთან მიყუჟულ ფარდულში. ორი კვირის წინათ ჩავიდა იგი სამხრეთ ოსეთში, თავის სოფელ ახალგორში, რათა ენახა დანგრეული სახლი. ჩემმა ოსმა მეზობლებმა მითხრეს, ახლა ეს სახლი ჩვენიაო, ამბობს ძალი.

ახალგორი სამხრეთ ოსეთის ერთადერთი რაიონია, სადაც ქართველებს შეუძლიათ ჩასვლა. ისინი შეადგენდნენ მისი მოსახლეობის 70 პროცენტს. ახალგორსა და ცხინვალს შორის მთეგია და აგვისტოს ომამდე მას ვერ უწევდა კონტროლს სამხრეთი ოსეთი. როცა რუსი სამხედროები და სამხრეთოსეთელი მოთარეშენი პირველად შევიდნენ შარშან ახალგორში, რაიონის 7-ათასიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიქცა იქიდან.

რუსული ტანკების მეთვალყურეობით, რომლებიც გზას აკონტროლებენ შენიღბული საფარებიდან, მიკროავტობუსები უწინდებურად აქეთ-იქით დადიან ახალგორსა და საქართველოს შორის, რაც საშუალებას აძლევს ადამიანებს იმგზავრონ სამხრეთით საყიდლებზე ან ნათესავთა მოსანახულებლად. 10 მგზავრს შორის, რომლებსაც გავესაუბრე საზღვარზე, იყო მხოლოდ ერთი მამაკაცი – ისიც ხანდაზმული. უფრო ახალგაზრდა მამაკაცებს ეშინიათ, ემანდ ეჭვი არ მიიტანონ, რომ ქართულ პოლიციას ან არმიას ვეკუთვნით, აგრეთვე ძალით არ გაგვიწვიონ რუსეთის არმიაშიო. ომამდე სამხრეთ ოსეთში 500 რუსი სამხედრო მოსამსახურე იყო. ახლა კი იქ 3800 სამხედრო მოსამსახურეა. ისინი ამაგრებენ საზღვარს და ძმინან თავიანთ გაზებს, რაც გასულ კვირას გახდა იმის საბაბი, რომ პროტესტი განეცხადებინა ნატოს. „სამხრეთი ოსეთი ნელა, მაგრამ მაინც იძცევა სამხედრო ბაზად“, – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკა ზულუალიძემ.

ომის დამთავრებიდან ექვსი თვის შემდეგ ადამიანები იხსენებენ გმირობის შემთხვევებს. სოფელი ზემო ნიქოზი ერთნაირ მანძილზეა ცხინვალიდან და ერგნეთიდან, მაგრამ მისი სახლების დიდი ნაწილი გადაურჩა დანგრევას. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, გახდა მლვდელ ისაიას ვაჟკაცობა, რომელსაც ამ სოფელში სახლი აქვს. იგი შეეგება მოთარეშეებს და საკუთარი მაგალითით მოუწოდა მცხოვრებთ არ მიეტოვებინათ სოფელი. „ერთხელ ადამიანებმა მითხრეს, რომ მაროდიორთა ჯგუფმა უბრძანა მათ შეეგროვებინათ ფული, თორემ სახლებს გადაგიწვავთო. მე დავურეკე რუს პოლკოვნიკს და 45 წუთის შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორი მოვიდა. მაროდიორები გაიქცნენ“.

უფლებადამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch-ი ბრალს სდებს სამხრეთ ოსეთის გასამხედროებულ ფორმირებებს უმძიმეს სამხედრო დანაშაულობებში. ამავე დროს იგი ბრალს სდებს ქართველებსა და რუსებს მშვიდობიან მცხოვრებთა მოსპობაში. ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ რუსები, როგორც მხარე, რომლებმაც დაიპყრეს სხვისი ტერიტორია, ვალდებული იყვნენ გაეკონტროლებინათ მოთარეშეები და დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა.

ახლა საზღვარს საქართველოს მხრიდან ევროსაბჭოს 200 მეთვალყურე პატრულობს. სამხრეთ ოსეთში მოსკოვი მათ არ უშვებს. იქ არის აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 2 ათეული მეთვალყურე. მათი თქმით, საზღვარზე „სტაბილური, მაგრამ დაძაბული“ ვითარებაა. ეს ნიშნავს, რომ დიდი თავდასხმები არ არის, მაგრამ რამდენადაც ადამიანთა შეიარაღებული ჯგუფები პირისპირ დგანან და დაშორებული არიან მხოლოდ ვიწრო ნეიტრალური ზოლით, აფეთქების საშიშროება მუდმივია. საქართველოს ხელისუფალნი აცხადებენ, რომ აგვისტოს დაზავების შემდეგ მოკლულია 11 პოლიციელი და 7 სამოქალაქო პირი.

რუსეთმა, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა, ისარგებლა თავისი უფლებით და მოსთხოვა ორგანიზაციის მეთვალყურეებს დაეტოვებინათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია. მან განაცხადა, რომ ვინაიდან სამხრეთი ოსეთი ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ეუთოს სჭირდება ადგილობრივი მისიები საზღვრის ორივე მხარეს. საქართველო ასეთ მოთხოვნას უარყოფს, რადგან ეს ფაქტობრივად დამოუკიდებლობის აღიარებაა. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება და პროგლემის გადაჭრის ძიება. მოლაპარაკების დამთავრების ვადაა შუა თებერვალი.

ჯონათან სტილი

The Observer

საქართველოს ლიდერს ურუსეთოდაც აქვს პრობლემები თავის ქვეყანაში

The New York Times-ის ჟურნალისტი ელენ ბარი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ საკაშვილს. მისი თქმით, ახლანდელი ზამთრის განმავლობაში საქართველოს ლიდერი სულ უფრო ნაკლებად ხდება შესამჩნევი თბილისში – იგი იძულებულია მიმართოს პოლიტიკურ პოზიციურ თავდაცვას. მრავალი ადამიანი ბრალს სდებს მას რუსეთთან უაზრო ომსა და ტერიტორიების დაკარგვაში. ახლანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი შედეგები აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებენ მის პოპულარობას.

აგვისტოში, გვახსენებს ჟურნალისტი, მან გასცა ბრძანება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტებზე შეტევის დაწყების შესახებ და ამით კვლავ გააღვივა 15 წლის განმავლობაში გაყინული კონფლიქტი. თვით სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ჯარების შეყვანა „აუცილებელი პასუხი იყო რუსეთის შემოჭრაზე“. თუმცა, ამბობს შემდეგ ბარი, რაიმე მტკიცებულება არ იყო მოყვანილი. თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ სეპარატისტების მიმართ იგი მოიქცა „წინდაუხედავად“. სააკაშვილმა განუცხადა გამოცემას, რომ ათასჯერ იფიქრა და კვლავ ფიქრობს, სწორად მოიქცა თუ არა, როცა ის ბრძანება გასცა.

თუ რუსეთის ლიდერები არაორაზროვნად გვაგრძნობინებენ, რომ მათ უნდათ პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილის წასვლა, თვით საქართველოში ბოლო დრომდე მოსახლეობის ფართო ფენები მხარს უჭერდნენ მას, წერს კორესპონდენტი.

ხუთი წლის წინათ, როცა სულ 36 წლისა იყო, იგი აირჩიეს პრეზიდენტად ხმათა 97 პროცენტით. ბრიტანელი პოლიტოლოგი მარკ ლეონარდი სააკაშვილის ახალგაზრდა კაბინეტს უდარებდა „ოუშენის მეგობრებს“ ამავე სახელწოდების ფილმიდან. ძარიზმატულმა გაზრის მოვაჭრეებმა თავი დაგვამახსოვრეს მკაფიო ნაბიჯებით: მაგალითად, მათ აიღეს და მთლიანად დაშალეს სახელმწიფო ავტოინსპექციის კორუმპირებული სამსახური.

მაგრამ მალე მიღებულ იქნა კონსტიტუციის მთელი რიგი შესწორებანი, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააფართოვეს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი. მომხრეები ამბობდნენ, ეს საჭირო ზომაა რეფორმების განსახორციელებლადო; მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, ეს ავტორიტარიზმისკენ გადახრაა. 2007 წლის შემოდგომაზე კი უმოწყალოდ იქნა დარბეული მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია საქართველოს დედაქალაქში. მაშინ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო წინ აღდგომოდნენ „რუსეთის შეთქმულებას“, მაგრამ „მანდატის განახლების“ მიზნით მან გამოაცხადა ხელახალი არჩევნები 2008 წლის დამდეგს, რომელზეც გაიმარჯვა, როცა ხმათა ნახევარზე ოდნავ მეტი მოიპოვა.

აგვისტოს ომმა კვლავ გაზარდა საქართველოს ლიდერის რეიტინგი, მაგრამ ახლანდელმა კრიზისმა ხელი შეუწყო მისი პოპულარობის სწრაფ ვარდნას, წერს ბარი. შემდეგი არჩევნები უნდა გაიმართოს 2013 წელს, მაგრამ ბევრი მოითხოვს მის ვადამდე გამართვას. თვით სააკაშვილი „მეტად სამწუხაროს“ უწოდებს იმ ფაქტს, რომ ოპოზიციაში არ არის ძლიერი ფიგურა. როგორც მან გამოცემას განუცხადა, იგი ოპოზიციაში რომ ყოფილიყო, მთავრობა სამ თვეში დაემხობოდა, „თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ კრიზისს“. თუმცა თავისი თავის დამხობის საიდუმლოს გაზიარებაზე მან უარი თქვა.

ახლა საქართველოს პრეზიდენტი, ეტყობა, იქითკენ იხრება, რომ შეცვალოს პოლიტიკური მოდელი: არც ისე დიდი ხნის წინათ მან შეიტანა შესწორებანი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შეზღუდვის შესახებ. თუ წინათ მისი კერპი იყო შუა საუკუნეების მეფე დავით აღმაშენებელი, როცა საქართველომ მიაღწია უმეტეს ძლიერებას, ახლა, მისი თქმით, იგი სულ უფრო ხშირად ფიქრობს ჯორჯ ვაშინგტონზე, რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი გვირგვინზე, რათა ამერიკა გამხდარიყო დემოკრატიული, ნათქვამია სტატიაში.

ელენ ბარი

The New York Times

მოკლედ

აშშ აპირებს განალაგოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოში

ვაშინგტონი შეშფოთებულია რუსეთის იმ განზრახვის გამო, რომ სამხედრო ბაზები შექმნას აფხაზეთში. შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს „ანტიგეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების გახსნას საქართველოში. თბილისს შეუძლია უარი თქვას ამ იდეაზე, თუ მოსკოვი უარს იტყვის თავის გეგმებზე აფხაზეთში.

* * *

ირანმა დამოუკიდებლად გაუშვა კოსმოსში თავისი პირველი ეროვნული თანამგზავრი

პირველი ეროვნული თანამგზავრი „ომიდი“ („იმედი“), გაყვანილია დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ირანის მატარებელი რაკეტის მეშვეობით. გაშვება უკავშირდება ირანში ისლამური რევოლუციის 30 წლისთავს. განკარგულება გაშვების შესახებ პირადად გასცა პრეზიდენტმა მაჰმუდ ახმადინეჟადმა.

* * *

ტიმოშენკოს გადადგომის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა იანუკოვიჩისა და იუშჩენკოს საიდუმლო შეხვედრის შემდეგ

რეგიონების პარტიაში, რომელიც მოითხოვდა მთავრობის გადადგომას, აცხადებენ, რომ ჯერ პრეზიდენტმა და პრემიერმა ანგარიში უნდა ჩააბარონ პარლამენტს. მეორე ვერსიით, იანუკოვიჩმა შეიგნო, რომ ჯერ-ჯერობით მთავრობის გადადგომის სასარგებლოდ ხმათა საკმარისი რაოდენობა არ არის.

* * *

ჰილარი კლინტონმა ფიცი დადო როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა

კლინტონმა ფიცი დადო, რომ შეასრულებს აშშ-ს კონსტიტუციასა და დაიცავს ქვეყანას გარეშე და შინაური მტრებისგან. ფიცი მისგან მიიღო ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა. ცერემონიაზე იყო აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივნის ქმარი ბილ კლინტონი.

* * *

ნიუ-იორკის მთავარმა „მეტეოროლოგმა“ ზაზუნა ჩარლზ პოგმა ხელზე უკბინა მერ ბლუმბერგს

ცოფის შეყრა ქალაქის თავს არ ემუქრება — პატარა ცხოველი ტყვეობაში დაიბადა და არ ჰქონია კონტაქტი სხვა ცხოველებთან. თვით მაიკლ ბლუმბერგმა ყოველივე ეს მხიარულ ხუმრობად გადააქცია, როცა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „მღრღნელმა-ტერორისტმა“, როგორც ჩანს, „ალ-ყაიდას“ მოთარეშეთა ბანაკში გაიარა მომზადება.

* * *

სომალელმა მეკობრეებმა გაათავისუფლეს თურქეთის გემი, რომელზეც 7 უკრაინელი იყო

თურქეთის კომპანიის კუთვნილი გემი Prodigy ხელში ჩაიგდეს მეკობრეებმა გასული წლის დეკემბერში. ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ უკრაინის 8 მოქალაქე და თურქეთის 3 მოქალაქე. იუწყებიან, რომ ყველა ისინი თავს კარგად გრძნობენ.

◎ კრივი

მეზობლებიც გაჯახჯახეთ

ქუთაისში დამთავრდა კადეტ მოკრივეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად სომხეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ერთკვირიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი გოგიტაშვილი (ფოთი/ქ, კოლია გრიგორიანი (სომხეთი/ქ, ვლადიმერ ტყებუჩავა (ფოთი/ქ, უჩა მუმლაძე, გელა ელიზბარაშვილი, ალეკო ჭადაშვილი, ალეკო შუკვანი (ყველა – თბილისი/ქ, გიგა გიგაური (გორი/ქ, გიორგი დემეტრაშვილი (თბილისი/ქ, ნიკა სეხნაშვილი (გორი/ქ, ოთარ გაგუა (თბილისი/ქ, რევაზ გოგბერაშვილი (ტყიბული/ქ და პავლიკა ყველაშვილი (თბილისი/ქ. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

საქართველოს პირველობის შედეგებით დაკომპლექტდება კადეტთა ნაკრები, რომელიც თებერვლის შუა რიცხვებში ერევნის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

◎ ქართული ჭიდაობა

ტრადიციული გახდება



ქართული ჭიდაობის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის სახელოვან სპორტსმენს, ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონსა და 1952 წლის ფალავანს სიმონ მაისურაძეს, რომელიც ამჟამად 82 წლისა გახლავთ, მაგრამ ახალგაზრდული შემართებითაა და ნებისმიერ კუთხეში შეფრიგრება ისე არ ჩაივლის, ერთ-ერთი მოთავე თავად არ იყოს.

გასულ უძმეებზე ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის (პრეზიდენტი დიმიტრი დუნდუაძ ინიციატივითა და თბილისის მერიის დაფინანსებით თავდაცვის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში სიმონ მაისურაძის სახელობის პირველი ტურნირი გაიმართა. ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში სხვადასხვა რეგიონის 70-70 წარმომადგენელი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ქართულ ჭიდაობაში – ამირან თამლიანი (მესტიაძ, შოთა გეჭიტაშვილი (თბილისი/ქ, კახა მამულაშვილი (კასპი/ქ, გიგა წიკლაური (მცხეთაძ, გიორგი ცოციაშვილი (მცხეთაძ, ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი/ქ; მკლავჭიდში – ლაშა კახელაშვილი (თბილისი/ქ, ზაზა თაბაგარი (ჭიათურაძ, გიორგი ალგუთაშვილი, გიორგი თვალიაშვილი, თამაზ წერეთელი (ყველა – თბილისი/ქ.

როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვითხრეს, სიმონ მაისურაძის სახელოსნის ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება.

◎ ჩოგბურთი

ნადალი „იმუქრება“

ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული პლანეტის პირველი ჩოგანოსანი რაფაელ ნადალი ესპანურ პრესაში აცხადებს, რომ აპირებს თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად დევისის თასის მოგებას. თუმცა მას ჯერ კიდევ არ განუცხადებია თანხმობა პირველ წრეში სერბეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში თავის მონაწილეობაზე. ის კი 6-8 მარტს გაიმართება, ამერიკული ინდიან-უელსში სუპერტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.

◎ კადრი



◎ გაცილება

კაცი, რომელიც დააკლდა... კალათს



„პტიცას“ გაგვიფრინდა

18 აგვისტოს ვლადიმერ უგრეხელიძე 70 წლის გახდებოდა.

რაოდენ სამწუხარია, რომ ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელზე ამიერიდან წარსულ დროში მოგვიწევს საუბარი. როგორ გევრ გულანთებულ მამულიშვილს, მასაც გულმა უმტყუნა.

მართალია, „პტიცა“ უპირველესად თამაშის ჰაეროვანი მანერით დაამახსოვრდება სპორტულ სამყაროს, მაგრამ, ვფიქროთ, არანაკლებ აღსანიშნავია ის პიროვნული ხიბლი და ინტელექტი, რომელიც ყველასაგან გამოარჩევდა ამ ზნეკეთილ ადამიანს. დიახ, დიდად სასიამოვნო იყო მასთან როგორც თითოეული შეხვედრა, ისე ურთიერთობა, რაც სამაგალითო უნდა გამხდარიყო მომავალი თაობებისთვის.

შარშან 60-იანელთა კიდევ ერთ ღირსეულ წარმომადგენელს ვალერი ალთაბაევს გამოვეთხოვეთ.

გუშინ ვლადიმერ უგრეხელიძე გახდა უკვდავების გინადარი. შეგახსენებთ, რომ უამრავ რეგალიას შორის მან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, კონტინენტის ჩემპიონობა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია.

◎ კარატე

ჭაბუკამ ლიტვაშიც იჭაბუკა

ლიტვის ქალაქ მაჟეიკიში დასრულდა გალტიკის თასის IX გათამაშება კარატეში, სადაც წარმატებით იასპარეზა თბილისის კლუბ „შოტოკანის“ უფროსმა ინსტრუქტორმა, შავი ქამრის IV დანის მფლობელმა ჭაბუკა მახარაძემ.

31 წლის ქართველმა სპორტსმენმა კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამართული 4 ბრძოლიდან მხოლოდ ერთი დათმო და III პრიზიორი გახდა.

სხვათა შორის, იმ ერთადერთი უიღბლო შეხვედრის ძირითადი დრო ლატვიელ მეტოქესთან ფრედ – 4:4 დამთავრდა და, როგორც ჩვენმა თანამემამულემ განაცხადა, უარყოფითი შედეგი მისმა გართულებულმა აკლიმატიზაციამ განაპირობა.

რაც შეეხება პერსპექტივას, ახალი სეზონი ნელ-ნელა ძალებს იკრებს და ჭაბუკა მახარაძის მორიგ მიღწევებზე, ვიმედოვნებთ, კიდევ არაერთხელ გამცნობთ.

◎ ინტერნეტიდან

„პიტსბურგის“ გაჩემპიონება პორნოთი აღნიშნეს

გუნდის ისტორიაში მეექვსედ მოიგო რა ამერიკული ფეხბურთის სუპერბოული, „პიტსბურგი“ ლიგის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გახდა. „არიზონასთან“ გადამწყვეტი მატჩი, როგორც პრესა აღნიშნავს, ძალზე ფანტასტიკური და საინტერესო საყურებელი გამოდგა. თუმცა „არიზონა“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში გამოდიოდა და მეოთხე მეოთხედის წინ თითქოს უიმედოდ აგებდა – 7:20, მაგრამ „კარდინალების“ დაუჯერებელმა შეტევამ – 16:0, ყველაფერი თავდაყირა დააყენა.



მაინც ბოლო სიტყვა „მეფოლადეებს“ დარჩათ. მატჩის დამთავრებამდე 35 წამით ადრე ანტონიო ჰოლმსმა ორ მეტოქეზე მაღლა უჩვეულო ნახტომით „არიზონას“ ჩათვლის ზონაში დაიჭირა როტლისბერგერის გადაცემა და თავის გუნდს ისტორიული გამარჯვება მოუპოვა – 27:23, თავად კი ფინალის ყველაზე ძვირფასი მოთამაშის ტიტული ხვდა.

ეს მატჩი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ტელეარხმა NBC ტრანსლაციის დროს რეკლამისთვის სარეკორდო 261 მილიონი დოლარი მიიღო.

და კიდევ, ფინალური მატჩის ტელეტრანსლაცია ბოლო წუთზე შეწყდა ათწამიანი პორნოგრაფიული ვიდეოფირის ჩვენებით. ის ნახა ამერიკაში უდიდესი საკაბელო კორპორაციის Comcast 10 მილიონამდე მაყურებელმა (თუმცა მხოლოდ არიზონაში/ქ. ახლა კომპანია აწყობს ამ ფაქტის შინაურ გამოძიებას.

გარიცხეს მარიხუანას შენახვისთვის

ჭიდაობა სუმოს მეორე ელიტური დივიზიონის (ძიურეძ მოჭიდავე სანიტი სუზუკავა, რამდენიმე დღის წინათ მარიხუანას შენახვისთვის რომ დააპატიმრეს, გუშინწინ გარიცხეს სუმოს სრულიად იაპონიის ასოციაციიდან.

შეგახსენებთ (ამაზე ჩვენი გაზეთი შარშან წერდაქ, რომ ამ ნარკოტიკის წევისა და შენახვისთვის სამუდამოდ დისკვალიფიცირებულია რუსეთელი სოსლან გაგლოევი, ხოლო ძმეგმა სოსლან და გათრაზ ბორძოვებმა, ასეთივე სასჯელი რომ დაიმსახურეს, ასოციაციას სასამართლოში უჩივლეს და ახლა მიმდინარეობს ამ საქმის გარჩევა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონური კანონებით მარიხუანას შენახვა ისჯება ხუთწლამდე პატიმრობით.

წითელი ბარათი სიყვარულის ვირთხებს

ასე დაემუქრა თავის ყოფილ საყვარლებს „ტოტენჰემის“ თავდამსხმელის ჯერმეინ დეფოს ყოფილი სატრფო დანიელ ლოიდი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში. როგორც ლამაზმანმა განაცხადა, ის ალარ „დაუმეგობრდება“ ფეხბურთელებს. როგორც ამბობენ, ლოიდი პრემიერლიგის ყველა ფეხბურთელს, მასთან დაახლოებას რომ ეცდება, წითელ ბარათს უჩვენებს.

ის ტყავის ბურთის მოთამაშეებს სიყვარულის ვირთხებს უწოდებს. „არ მიყვარს მატყუარები და არ მინდა მათთან კონტაქტი“. მას მიაჩნია, რომ მისი ბოლო რომანები თედი შერინგემთან, მარკუს ბენტთან და დეფოსთან მათი ღალატის გამო დამთავრდა. და ახლა ამის გახსენებაც არ უნდა.

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება №1-1

27 იანვარი 2009 წელი
02.02.2009წ.
010.260.030.36.101.012.733

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე და 209^3 მუხლების, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9^1 მუხლის მე-2 პუნქტის „I" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ:

ა) შეადგინოს ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე;

ბ) განიხილოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილი ოქმები;

2. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეების წარმოების თანდართული წესი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2002 წლის 29 მაისის №6-6 გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

დანართი
დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2009 წლის 27 იანვრის
№ 1-1 გადაწყვეტილებით

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების წარმოების წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესის რეგულირების საგანი

ეს წესი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების მიხედვით განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის, ოქმების შენახვის, შედგენის, აღრიცხვა-ანგარიშგების, საქმეების განხილვისა და შესაბამისი დადგენილების გამოტანის სამართლებრივ მექანიზმებს.

თავი II. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე საქმეების წარმოებასა და განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს, განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი ნორმატიული აქტებითა და ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი არიან სამსახურის დებულებით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლები.

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილ ოქმებს 15 დღის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (დადგენილება).

თავი III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა

მუხლი 5. ოქმის შედგენა

1. სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 135-ე მუხლით. თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, ოქმის შემდგენმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის ფორმა განსაზღვრულია ამ წესის დანართით №1.

3. ოქმი ივსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საამისოდ უფლებამოსილი პირი ადგილზე ადგენს სამართალდარღვევის ოქმს, მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა ოქმის შინაარსს.

4. ოქმი დგება 2 ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემდგენელთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა სამართალდამრღვევს.

5. ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი;

გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ;

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

ე) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ვ) მოწმეთა და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან;

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

7. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

8. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულნი, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

9. თუ დამრღვევი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სამართალდამრღვევი პირი უფლებამოსილია წარადგინოს ოქმზე თანდასართავად ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ახსნას ოქმში ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

10. ოქმი, მისი შედგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს სპეციალურად ზონარგაყრილ და დანომრილ წიგნში.

თავი IV. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგება

მუხლი 6. ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველი

სამსახური ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 7. ოქმებით მომარაგება, ოქმების გაცემა, წარმოება და დაბრუნება, მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალის გაფორმების, წარმოებისა და შენახვისადმი

1. სამსახურის ოქმებით მომარაგება ხორციელდება სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ და ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტით.

2. ოქმის შედგენისათვის უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის ოქმების გაცემა ხორციელდება სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ. ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება ,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში" (შემდგომში - ჟურნალი) (დანართი №2).

3. ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

4. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. აღრიცხვის ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი, ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

5. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

6. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა" აღრიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს (მაგალითად - შესწორებულია მე-2 და მე-10 გრაფები, თარიღი, ხელმოწერა, გვარი და სახელი).

7. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

8. კალენდარული წლის ბოლოს ჟურნალში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყველა ოქმის რეგისტრაციის შემდეგ პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

9. ჟურნალი ინახება მისი წარმოებისათვის პასუხისმგებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, რომელიც შემდგომში კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა არქივს.

10. ჟურნალის შენახვის პირობებმა უნდა უზრუნველყოს მისი დაცულობა.

11. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8. ოქმების შენახვა

1. ოქმების შენახვა ხორციელდება ,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ოქმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში.

3. ოქმები ინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.

4. ოქმები ინახება ამ ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელ პირთან ან პირებთან.

მუხლი 9. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ოქმების ფიზიკური დაზიანების გამო;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №3) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილ უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

იხ. 12 გვ.

(მეთერთმეტე გვერდიდან)

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და შესაბამისი დადგენილების გამოტანა

მუხლი 10. საქმეების განხილვის წესი

1. სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ შეგროვილი, გამოკვლეული და შეფასებული საქმეზე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ვალდებულია დაადგინოს:

ა) განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა;

ბ) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები;

გ) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;

დ) ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

ე) ექვემდებარება თუ არა პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის ან მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე წევრისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა დასაბუთებული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

3. ამსახურის უფროსი, ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, ახდენს მტკიცებულებების შეფასებას და საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას (დადგენილება).

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ სამსახურის უფროსს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება:

ა) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (დანართი №4);

ბ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ (დანართი №5).

5. მიღებული გადაწყვეტილება აღირიცხება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №6).

6. ჟურნალის წარმოება ხორციელდება ამ წესის მე-7 მუხლის მე-3–მე-11 პუნქტების შესაბამისად.

7. სამსახური, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო, ვალდებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

მუხლი 11. მცირე მნიშვნელოვანი სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა

თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ სამსახურის უფროსს შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეწყვეტა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო;

ბ) იმ პირთა მიმართ, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია თექვსმეტი წელი;

გ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის ჩამდენი პირის შეურაცხადობის გამო, თუ იგი შეურაცხადი იყო სამართალდარღვევის ჩადენისას;

დ) თუ პირი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობისა ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში;

ე) ამნისტიის აქტის მიღების გამო, თუ იგი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

ვ) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმების გამო;

ზ) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა;

თ) თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ,

ი) იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

მუხლი 13. ჯარიმის გადახდის წესი

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. საურავის დარიცხვის და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესი

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაჯარიმების შესახებ მიღებული დადგენილების ასლის ჩაბარებიდან 30 დღეში დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ პირს ამ ვადის გასვლის შემდეგ, ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურის უფროსი იღებს დადგენილებას საურავის დარიცხვის შესახებ (დანართი №7).

4. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტში განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და საურავის დარიცხვის შესახებ სამსახურის უფროსის დადგენილებაზე გამოიწერება სააღსრულებო ფურცელი (დანართი №8), რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

თავი VI. დასკვნითი დებულება

მუხლი 15. დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:
"ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოიყენოს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიღებული წარმოების ენა, ისარგებლოს თარგმნის მომსახურებით; გასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება".

გაეცნო: ----------
სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა

დანართი № 2

ქ. თბილისის მგზავრთა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალი

№	გაცემის თარიღი	ოქმის ნომერი	ოქმის გამცემი				ოქმის მიმღები				ოქმის შემდგენელი				დამრღვევი (გაუმჯობესელი) ოქმები					შენიშვნა
			ვინაობა	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	ვინაობა	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	ვინაობა	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	დამრღვევის თარიღი	ოქმის ნომერი	ვინაობა	სახელი	თანამდებობა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21

დანართი №3

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

აქტი №

"----" "----------" 200 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/ოქმების ჩამოწერის შესახებ

№	საქმეთა დასახელება	რაოდენობა	ოქმის ექსკლუზიური ნომერი
1	2	3	4

ზემოთმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ოქმების ჩამოწერის სისწორეს.

სამსახურის უფროსი: /----------/

სტრუქტურული ერთეულის უფროსი: /----------/

ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი: /----------/

დანართი №4

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

დოკუმენტი №
ადმინისტრაციული სახელის დადების შესახებ

---- ---------- 200 წ ----------
(თარიღი) (დოკუმენტის გამოცემის ადგილი)

(დოკუმენტის გამომცემი ორგანოს პირის დასახელება)

გამოიცა მხარეები სამართალდამრღვევის

(სამართალდამრღვევის მონაცემები)

---------- მიერ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის ---------- დარღვევის შესახებ.
(მუხლის, მუხლის ნაწილის)

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ი ს

(სამართალდამრღვევის ადგილი, დრო და ანბანი)

ზემოთმოყვანილ საფუძვლებზე, ხელმძღვანელობა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, 266-ე -268-ე, 271-ე -273-ე მუხლებით,

დ ა ვ ა ლ ე ს ,

1. ---------- ცალსახად იქნეს სამართალდამრღვევად
(სამართალდამრღვევი პირის დასახელება)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----------
(ადმინისტრაციული სახეობის სახელი, ციფრით)

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დოკუმენტები შეიცავს ცალსახად დოკუმენტების ჩამონათვალს 10 ფურცლის ოდენობით საქმეებში. მრავალფურცლიანი დოკუმენტი ფურცლებს ენომერება (ფურცლების ნომრები 1-65).

3. დარღვევა ზემოთქმული ექვემდებარება ---------- ტაქსით, დოკუმენტების ჩამოთვლილის ჩამოთვლის ჩამონათვალის 30 დღეში.

4. გამოესახოს სამართალდამრღვევს, რომ დოკუმენტების ჩამოთვლის ჩამოთვლიდან 30 დღეში დაეკისროდეთ ეკისრის ეკონომიკურ ზრდისგვერდს, ამ ეკონომ ეკისეულ ზრდაზე, ეკონომიკურ ეროვნულ ბანკ დაეკისრება სანქციად ---------- ლარის ოდენობით.

სამსახურის უფროსი ----------

დანართი №5

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

დოკუმენტი №
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

---- ---------- 200 წ ----------
(თარიღი) (დოკუმენტის გამოცემის ადგილი)

(დოკუმენტის გამომცემი ორგანოს პირის დასახელება)

გამოიცა მხარეები სამართალდამრღვევის ----------
(სამართალდამრღვევის მონაცემები)

---------- მიერ
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის ---------- დარღვევის შესახებ.
(მუხლის, მუხლის ნაწილის)

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ი ს

(სამართალდამრღვევის ადგილი, დრო და ანბანი)

ზემოთმოყვანილ საფუძვლებზე, ხელმძღვანელობა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, 232-ე, 266-ე -268-ე, 271-ე -273-ე მუხლებით,

დ ა ვ ა ლ ე ს ,

1. შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

(საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი)

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დოკუმენტები შეიცავს ცალსახად დოკუმენტების ჩამოთვლის ჩამონათვალს 10 ფურცლის ოდენობით საქმეებში. მრავალფურცლიანი დოკუმენტი ფურცლებს ენომერება (ფურცლების ნომრები 1-65).

სამსახურის უფროსი ----------

06. 14 83.

დანართი №6

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებათა რეგისტრაციის ჟურნალი

მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ																							
№	დასახელება	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	ფეხი	სახელი	მისამართი	თანამდებობა	საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი	მოქალაქეობა	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №	ოქმის შედგენის ადგილი (კლასიფიკატორი)	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღი	ოქმის შემდგენი (ნაკარი, სახელი, თანამდებობა)	ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების №	დადგენილების გამოტანის თარიღი	დადგენილების გამომტანი (სახელი, გვარი)	ბაჯის მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი	ადმინისტრაციული სახდელის სახეობა	დაშანებული სახდელი	დარიცხული ჯარიმის თანხა	გადახდილი ჯარიმის თანხა	თუ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24

დანართი №7

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

დოკუმენტი №

საერთაშორისო ფრაზა

(ადგილი) (დოკუმენტის გამოცემის თარიღი)

(დოკუმენტის გამომცემი ორგანოს სრული დასახელება)

გამოძიაე ბრალეული სამართალდამრღვევი

(სამართალდამრღვევის ბინა, ტელეფონი)

ბინ

ფიზიკური სამართალდამრღვევი კოდექსის ——————— დარღვევის შესახებ

(მუხლის, ნაწილის სწორედ)

ა ნ ტ ი ნ ა ტ ა ნ ი

(სამართალდამრღვევის ფამილია, დრო და ადგილ)

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ეთანხმებიანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ———————, მე-200 მუხლის მე-2 ნაწილი, 266-ე მუხლი, 267-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 268-ე მუხლის, 271-ე –273-ე მუხლები.

ბ ა ნ ა ო ბ ა ნ ი

1. ——————————————————————— დარღვევის საერთო ——————
(სამართალდამრღვევი პირის დასახელება)

——————— ოდენობით.

2. საერთის დარღვევის შესახებ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

3. საერთი შეტანილ უნდა იქნეს ——————————————————— ანგარიშზე, დადგენილების ძალის ჩაბარებიდან 30 დღეში.

სამსახურის უფროსი ----------

დანართი №8

საქმე №-----

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

(საღსრულებო ფურცლის გამცემი)

საქმე, რომლის გამოც გაცემულია საღსრულებო ფურცელი

დადგენილების გამოტანის თარიღი

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

საღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი:

ქ. თბილისის მერიის
ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი
აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 თებერვალს 14 საათზე ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სასოფლო სამეურნეო საწარმო „როხის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ადმინისტრაციული შენობა, ორსართულიანი აგებული ბლოკით, გადახურვა აზბესტოვანი ფურცლით და გოფრირებული ალუმინით, 33.2X21.8კვმ, შეფასებულია 100000 ლარად,
2. რკინის ჭიშკარი, ორფრთიანი, შეფასებულია 400 ლარად,
3. საწერი მაგიდა, 1 ცალი, შეფასებულია 50 ლარად,
4. კარადა, 2 ცალი, შეფასებულია 50 ლარად,
5. სკამი 4 ცალი, შეფასებულია 15 ლარად,
6. ელწისქვილი, აშენებულია ბლოკითა და აგურით, 26კვმ, დახურულია აზბესტო ცემენტის ფურცლით, წისქვილში დამონტაჟებულია 7,5 კვტ-იანი ძრავი და მუშაობს ორი თვალი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 2500 ლარად,
7. საპირფარეშო, 36კვმ, შეფასებულია 200 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 103215 (ასსამიათას ორასთხუთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ.1
ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 თებერვალს 13 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „აბვ“-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ბამბის საპენტი და ბამბის საბერტყი შენობა – შენობა ერთსართულიანია 350 კვ.მ., აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით – შეფასებულია 5000 ლარად;
2. ბამბის საპენტი და ლეიბების სამკერვალო შენობა – შენობა ერთსართულიანია 462 კვ.მ., აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით – შეფასებულია 6500 ლარად;
3. რკინის გადახურული – შენობა აშენებულია ღითონის მასალებით 239,4 კვ.მ., შეფასებულია – 18000 ლარად;
4. საყარაულო ჯიხური – შენობა აშენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით 13,6 კვ.მ., შეფასებულია 500 ლარად;
5. ბამბის საბერტყი მანქანა (კუსტარული) – 5 კვტ. – შეფასებილია – 1500 ლარად;
6. ელექტრო ტრანსფორმატორი – 250 კვტ. – შეფასებულია 10 000 ლარად;
7. პრესი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 1500 ლარად;
8. ელ. გამომჭრელი დანა – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 250 ლარად;
9. ელ. ძალოვანი კარადა – საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 800 ლარად;
10. საკერავი ელ. მანქანები 0,7 კვტ. ძრავებით – 21 ცალი – შეფასებულია – 4830 ლრად;
11. ბამბის საჩეჩი მანქანა – “მჩ-100” მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია – 8000 ლარად;
12. დიზელ გენერატორი – 75 კვტ. საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 7500 ლარად;
13. სავენტილაციო არხი – საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია – 1000 ლარად;
14. ტელფერი – 1 ცალი მუშა მდგომარეობაში, 1 ცალი საჭიროებს შეკეთებას – შეფასებულია 1250 ლარად;
15. ჩარჩო ხერხი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 12000 ლარად;
16. მრგვალი ხერხი – მუშა მდგომარეობაში – შეფასებულია 3000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 81630 (ოთხმოცდაექვსიათას ექვსასოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ.1
ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.

ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 18 თებერვალს 15 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „მე-10 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ა) 1. საზეინკლო საამქრო, 116,96 კვმ. შეფასებულია 2605 ლარად,
2. ფარდული. 240კვმ. შეფასებულია 1100 ლარად,
3. ცემენტის საწყობზე მიდგმული შენობა, შეფასებულია 1240 ლარად,
4. საყარაულო ჯიხური, 14,28კვმ. შეფასებულია 280 ლარად,
5. აბანოს შენობა, 62,9კვმ. შეასებულია 1155 ლარად,
6. ცემენტის საწყობი, 172,64კვმ. შეფასებულია 1860 ლარად,
7. საწვავის გასაცემი სადგური 15,5კვმ. შეფასებულია 250 ლარად,
8. ცისტერნები: 1.45X2.95 360 ლარად,
   1.40X2.85 330 ლარად,
   2.85X4.20 2002 ლარად,
   2.20X2.80 795 ლარად,
   2.5X1.4 X1.4 367 ლარად,
9. კარადა რკინის 3 ცალი, 360 ლარად,
10. ტანსაცმლის საკიდი, 100 ლარად,
11. მაგიდა უჯრებიანი, 50 ლარად,
12. სეიფი, 4 ცალი, 400 ლარად, სულ 13254 ლარი

ბ) 13. ავტომანქანა კაზ-45-40, შეფასებულია 14000 ლარად,
14. ასფალტის სატკეპნი კატოკი დუ-47 (7 ტონიანი), შეფასებულია 20000 ლარად,
15. ავტომანქანა იჟ-2715 შეფასებულია 208 ლარად,
16. ავტომანქანა გაზ-66-01, შეფასებულია 6500 ლარად,
17. ავტოამწე, ჯართი, შეფასებულია 2080 ლარად,
18. ტრაქტორი კოროვეცი კ-701, შეფასებულია 35000 ლარად
19. ავტომანქანა კაზ-45-40, 37-59გრჟ. შეფასებულია 7600 ლარად,
20. ავტომანქანა კაზ-45-40 მისაბმელი, 019100. შეფასებულია 3500 ლარად,
21. ასფალტის სატკეპნი კატოკი გდრ-7 RICOMAG BW 200 (7 ტონიანი), შეფასებულია 25000 ლარად,
22. სპეცავტომზიდი გაზ-53 51430-გრბ, შეფასებულია 6500 ლარად,
23. სპეცავტოგუდრონატორი დს-39, ზილ-130 2634-გარ, შეფასებულია 2000 ლარად, სულ ავტოსატრანსპორტო საშუალებები 127688 ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 135642 (ასოცდათხუთმეტიათას ექვსასორმოცდაორი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ.1
ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79

სააქციო საზოგადოება „ელვას“
აქციონერთა საყურადღებოდ!
2009 წლის 5 თებერვალს დანიშნული აქციონერთა კრება იგივე დღის წესრიგით ჩატარდება 2009 წლის 27 თებერვალს.
მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5.
სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

დედა მედიკო კარანაძე, მეულლე მაია თოდუა, შვილები თათია, დეიკო, ირინა შავლაძეები, და გულნარა შავლაძე, სიძე თემურ ზოიძე, დეიდაშვილი მანანა ჩივჯავაძე, მამიდაშვილები ძეთინო, ჯანსუღ რუხაძეები, ცოლისდა ირა თოდუა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ გიორგის ძე შავლაძე

პანაშვიდი 5, 6 II, 16 სთ. გამოსვენება 7 II, 14 სთ. მის. თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძისძ 19 ა.

მეულლე ციცო ხარაიშვილი, შვილი დავითი, რძლები თინა გიგაშვილი, ეთერ თოთიბაძე, შვილიშვილები ხათუნა ჯაბუა, ნანა, სოფო, გიორგი, ნიკოლოზ მგალობლიშვილები, შვილთაშვილები გიორგი, ალექსანდრე, ძმისწულები მერაბ, ზურაბ, სიძე დავით კახიშვილი, მძახალი ნანა ქუთათელაძე, ცოლისდები ნუნუ, ნატო ხარაიშვილები ოჯახებით იუწყებიან

იური დავითის ძე მგალობლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 II, 16 სთ. დაკრძალვა 5 II, 14 სთ. ალ. ყაზბეგის 11ა, ბინა №3.

უახლოესი მეგობარი ნათია აბესაძე სამძიმარს უცხადებს ნანა ჯანხოთელს და მის ოჯახს დედის, დიდებული ქალბატონის

ოლია უშხვანი-ჯანხოთელის

გარდაცვალების გამო.

◎ გამოფენა

ჰოლოკოსტი ბავშვების შთაგონების წყაროდ იქცა

ორი კვირის განმავლობაში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებს უმასპინძლებს. საინტერესოა, რომ თემა, რომელიც 250-ზე მეტ ნახატს აერთიანებს, სრულიად არაბავშვურია და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას უკავშირდება.

გამოფენამ საინტერესო ტენდენცია გამოავლინა – აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის მცირეწლოვანი ნაწილიც კი კარგად ერკვევა ადამიანთა უფლებებში. გამოფენის მთავარი მიზანიც ეს იყო – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძვლიანი გაცნობა და ამ ყველაფრის ფურცელზე ორიგინალურად გადმოცემა. შეგახსენებთ, რომ ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ბოშებისა და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საერთაშორისო დღეს მსოფლიო წლეულს უკვე მეოთხედ აღნიშნავს.

„გამოფენაში მონაწილეობა რომ შემომთავაზეს, დიდხანს ვიფიქრე რა დამეხატა. ბოლოს, წიგნების მაღაზია და იქვე მდგომი დედა-შვილი დავხატე, ქვემოთ კი დავწერე – „ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება“. დარწმუნებული ვარ, ომი არავის უნდა. ომი ადამიანის თავისუფლების ყველა უფლებას არღვევს,“ – განგვიმარტა გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილემ, მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლემ, 13 წლის ირმა გაჩეჩილაძემ.

გამოფენაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

„მიხარია, რომ ბევრი ბავშვისათვის ეს გამოფენა ცხოვრებისეულ სტიმულად იქცევა. საკუთარი უფლებების შესახებ მათ მცირედი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეთ. ვეცდებით, მომავალში სხვა მსგავსი ღონისძიებები კიდევ გავმართოთ,“ – გვითხრა ორგანიზაცია „ერთობის“ ხელმძღვანელმა ია ქვათაძემ.

ირმა კახურაშვილი

◎ ინფორმაცია

11 წლის ქართველის მკვლელობაში ბერძენი მოზარდები დამნაშავედ სცნეს

საბერძნეთის სასამართლომ საბერძნეთში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე დაასრულა. სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია, რომ 2006 წელს ხუთმა მოზარდმა ქალაქ ვერიაში ალექსი მესხიშვილის მკვლელობა ჩაიდინა და ხუთივე წინასწარ განზრახვის გარეშე მკვლელობაში დამნაშავედ სცნო.

ორ ბრალდებულს მიესაჯა არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებაში ყოფნა, სამს - საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარება და აღმზრდელობითი მეცადინეობებზე დასწრება. კიდევ ერთი მოზარდი ცრუ ჩვენებების მიცემის და ერთ-ერთი განსასჯელის - საკუთარი ძმის მფარველობისთვის სოციალურ ორგანოებს გადაეცა ზედამხედველობისთვის.

ნახევარი წლის განმავლობაში სასამართლომ ასზე მეტი მოწმე დაკითხა. დადგინდა, რომ მოზარდები საკუთარ თანაკლასელ ალექსი მესხიშვილთან ქუჩაში შეკამათდნენ და დიდხანს სცემდნენ მას. მდევართაგან თავდახსნის მცდელობისას ბიჭი ქვის კიბიდან გადმოვარდა და თავის სასიკვდილო ტრავმები მიიღო.

მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, ცხედარი ვერ აღმოაჩინეს. მოზარდებმა განაცხადეს, რომ გადამალეს თანატოლის ცხედარი, შემდეგ სამშენებლო ურიკით მდინარემდე გადაიყვანეს და წყალში გადააგდეს.

ბრაკონიერი თურქი მეთევზეები

ქართველი მეგადურები თურქ მეთევზეებს ბრაკონიერობაში ადანაშაულებენ.

მათი თქმით, თურქები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზის რეწვას აკრძალული თევზსაჭერი საშუალებებით ახორციელებენ. არასტანდარტული თევზსაჭერი ბადე-იარალებით თევზაობა კი დიდი რაოდენობით თევზის განადგურებას იწვევს.

ამ დრომდე მეთევზეები ჩრდილოეთის მიმართულებით თევზის რეწვას უპრობლემოდ ახორციელებდნენ, ეს ზონა თავად საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა.

მეთევზეები ამბობენ, რომ თუ თურქები ბრაკონიერობას არ შეწყვეტენ, ისინი სამუშაოს გარეშე დარჩებიან.

ისინი, ასევე, არ გამორიცხავენ, რომ ქართულ და თურქულ მხარეებს შორის კორუფციული გარიგება არსებობდეს. ამის შესახებ როგორც მეთევზეთა კავშირში აცხადებენ, მათ აცნობეს გარემოს დაცვის სამინისტროს, თუმცა, მათივე თქმით, ამ დრომდე რეაგირება არ არის.

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი

◎ ფაქტი

„ქართულ-აფხაზური“ ალბომი

უახლოეს მომავალში ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი „ქართულ-აფხაზური ალბომი“ გამოვა.

როგორც წიგნის ავტორმა პაატა ქურდოვანიძემ განაცხადა, წიგნში მოთხრობილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობის შესახებ.

წიგნში გამოყენებულია როგორც სახელმწიფო არქივის მასალები, ასევე ქართულ და აფხაზურ ოჯახებში შემორჩენილი, საზოგადოებისთვის ცნობილი და არაცნობილი საარქივო მასალები.

წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო, რომლის დასაწყისი საუკუნეების სილრმეში ილეგს სათავეს.

– „ქართულ-აფხაზური ალბომის“ ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიების პარალელურად, მასში, ქართულ-აფხაზური ოჯახების შთამომავალთა ხსოვნას შემორჩენილი, არაერთი საოჯახო გადმოცემაა აღწერილი, რომლებიც ჩვენი ორი ხალხის ურთიერთსიყვარულის, ძმობისა და ნათესაობის ამსახველ საინტერესო და ყურადსაღებ ფაქტებს შეიცავს, – აღნიშნავს ანჩაბაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა *კოსტავას 12*
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◎ ანეკდოტები

– აბრამ, თავი პატიოსან კაცად მიგაჩნია?

– რა თქმა უნდა.

– მართლა? აი, მილიონი შეკელი რომ იპოვო, პატრონს ულაპარაკოდ დაუბრუნებ?

– თუ ის ღატაკმა დაკარგა, უთუოდ დავუბრუნებ!

* * *

მოხუცმა ებრაელმა ექიმს შესჩივლა, მარცხენა ყურში სმენა მაკლიაო.

–ვერაფრით დაგეხმარებით, ეს ასაკის ბრალია, – უთხრა ექიმმა გასინჯვის შემდეგ.

– კი, მაგრამ როგორ, მარცხენა ყური მარჯვენაზე უფროსია?

* * *

ღამეა. კარზე აკაკუნებენ, რაღაცნაირი კატეგორიულობით.

– ვინ არის?

– პოლიცია, გაალეთ! კარი ილეგა.

– აქ ცხოვრობს რაბინოვიჩი?

– არა.

– ეს თქვენი ბინაა?

– დიახ.

– რა გვარისა ხარ?

– რაბინოვიჩი.

– ეს როგორ, ნაქირალავ, აკი რაბინოვიჩი აქ არ ცხოვრობსო?

– მაპატიეთ, მაგრამ როდესაც ვილაცა შუალამისას საწოლიდან წამოგაგდებს, რათა ნაქირალა გიწოდოს, ამას ცხოვრება ჰქვია?

* * *

საქინებელში ტელეფონი რეკავს. მამაკაცი ყურმილს ილებს, უსმენს, მერე ყურმილს ხელს აფარებს და ჩურჩულით კითხულობს:

– ვილაც დაშას კითხულობს. შემთხვევით თქვენ ხომ არ გქვიათ ეს სახელი?

◎ კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.